№10 (9893) ◆ ოქტომბერი, 2022 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

ღვინის დღეები ღვინის სამშობლოში

ამ სლოგანით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქვეყნის 25 ქალაქში გამართული ღვინის დღეებით მართლაც კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. წლის საუკეთესო დროს – შემოდგომაზე გამართულ ამ ღონისძიებას მაინც სხვა დატვირთვა აქვს, რადგან ემთხვევა რთველს, რომელიც ოდითგან ქართველი კაცისთვის, ვიტყოდით, ისტორიული და ეროვნული რიტუალია. თავისთავად რაჭველებისთვისაც, რადგან ღვინომ „ხვანჭკარა“ მსოფლიოს გააცნო ადგილწარმოშობის მხარე – ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სადაც ბოლო წლებია მევენახეობა-მეღვინეობის დარგი აღმავლობის გზაზეა. იზრდება ალექსანდრეულის და მუჯურეთულის ვაზის ჯიშებით გაშენებული ვენახების ჰექტრები, შენდება ახალი ღვინის ქარხნები. რაც მთავარია, მამა-პაპისეულ ფუძეს უბრუნდებიან ოჯახები, რითაც ბევრმა სახლმა შემოიხსნა მიტოვებულის მარწუხი. ე.ი. ფასი დაედო მიწას, ხალხს ყურძენმა და ღვინომ გაუჩინა სერიოზული შემოსავალი.

წლევანდელი წლის რთველიც იძლევა საზეიმო განწყობილებას და ამიტომაც ვერ შეუშალა ხელი გადაუღებელმა წვიმამ 10 ოქტომბერს ამბროლაურში გამართულ ფესტივალს. კულტურის სახლის უკან მდებარე სკვერში განთავსებულ საფესტივალო ტერიტორიაზე მობრძანებულ როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე სტუმრებს შეეძლოთ დაეგემოვნებინათ 14 მეღვინის მიერ წარმოდგენილი ღვინოები, გაცნობოდნენ ქართულ სამზარეულოს, ღვინის ქარხნებს, მინიატურული ქვევრისა და ღვინის ბოთლების მოხატვის, ხეზე ამოწვის მასტერკლასებს. მონაწილეობა მიეღოთ ჭაჭის გამოხდაში, ჩუჩხელების ამოვლებაში და სხვადასხვა სახალხო აქტივობაში.

ფესტივალის უშუალო მონაწილენი იყვნენ და საერთო საზეიმო განწყობის გამზიარებლები მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, მისი პირველი მოადგილე **ქრისტინე კობახიძე**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**, მერი **ზვიად მხეიძე**, მათი მოადგილეები.

„ღვინის დღეები, ღვინის სამშობლოში“ ამ სლოგანით გამართული ღამაზი და დასამახსოვრებელი დღე ჯგუფი „ნონსტოპის“ კონცერტით დასრულდა და ამბროლაურმა ესტაფეტა ცაგერს გადაულოცა.

რთველი 2022

გამართლდა პროგნოზი. ამბროლაურელი მევენახეებისათვის ბარაქიანი აღმოჩნდა წლევანდელი რთველიც. მას წინ უძღოდა, როგორც საკოორდინაციო საბჭოს ისე სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული სამუშაოები, რამაც უზრუნველყო, წვიმიანი დღეების მიუხედავათ, რთველის ორგანიზებულად ჩატარება.

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ლოკაციაზე გახსნილ 30 პუნქტში ყოველგვარი რიგებისა და სხვა შეფერხებების გარეშე ყურძენს იღებდა 40-მდე კომპანია. ცხადია, ხარისხს აკონტროლებდნენ ამპეოლოგრაფები.

ამბროლაურელმა მევენახეებმა მიმღებ პუნქტებს მიუწონეს 1579 ტონა ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენი და ანაზღაურებაც სოლიდური მიიღეს.

რთველის მიმდინარეობის პროცესებს მიმღებ პუნქტებში სახელმწიფო რწმუნებულ **პაპუნა მარგველიძესთან**, პარლამენტარ **გოჩა ენუქიძესთან,** სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან, საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან ერთად აკვირდებოდა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **ლევან მეხუზლა**.

სიხარულში, ბედნიერებაში, ქორწილებსა და ძეობებში მოიხმარეთ წლევანდელი რთველით მიღებული ფინანსები ამბროლაურელო მევენახეებო!

სოფელ **ხონჭიორში** წყალმომარაგების სისტემა ეწყობა, რომელიც არსებულ მრავალწლიან პრობლემას აღმოფხვრის და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდებას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, მიმდინარე სამუშაოებს, ინფრასტრუქტურული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნო. პროექტის ღირებულება 547 346 ლარს შეადგენს და მისი დასრულება წლის ბოლოსთვის იგეგმება.

მერიის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან მორიგ სამუშაო შეხვედრაზე ამ ეტაპისთვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს. ყურადღება გამახვილდა ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზე, ინფრასტრუქტურული პროექტებზე, სოციალურ პროგრამებსა და ამ მიმართულებით დაგეგმილ სიახლეებზე, მუნიციპალიტეტში სისუფთავის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებზე, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

სამსახურების უფროსებმა საკურატორო სფეროების მიხედვით კონკრეტული დავალებები მიიღეს.

ანონსი

- სიხარულს საზღვარი არ ექნება თუ...
- მწვანე ფილტვები
- წიგნის თვე რაჭაში

ქრონიკა

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილედ დაინიშნა **ლევან ზალკალიანი**.

იგი დაიბადა 1973 წელს ქ. ქუთაისში. 1998 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2009–2020 წლებში იყო ამბროლაურის პროკურორი, ხოლო 2020–2021 წლებში მუშაობდა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს განყოფილების ხელმძღვანელად, უფროს პროკურორად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

ამომრჩეველი, დეპუტატი, მარტო სათავისოდ

როგორც ვიუწყებოდით წარმომადგენლობითი ორგანოს გრაფიკით სექტემბერ-ოქტომბერში მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, იგივე ამომრჩეველთან შეხვედრები კვლავ გაიმართა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად დეპუტატებისაგან ისმენდნენ ანგარიშებს გაწეულ საქმიანობაზე. დაპირებისამებრ შევეცდებით მკითხველს შევთავაზოთ ამონარიდები ანგარიშებიდან. რამდენად გულახდილები არიან დეპუტატები სამანდატო ვალდებულებების შესრულებაში განსასჯელად ამომრჩევლებისთვის მიგვინდია, რადგან აცხადებენ რომ ისედაც სისტემატურად ვხვდებით ამომრჩეველსო.

დეპუტატი გულახდილია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოში 22 დეპუტატია. რთული უბნებით ღადიშისა და ცახის ადმინისტრავიული ერთეულებით ვიწყებთ. რთული იმიტომ, რომ მიგრაციის მიზეზით ფაქტიურად გათითოკაცებული ცხრავე სოფელი (ცახი, გოგოლათი, ზედა და ქვედა ღვარდია, პატარა ონი, ღადიში, ტბეთი, ბაჯი, ქვედა შავრა) ათეულობით კილომეტრითაა დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრს და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ხანდაზმული. ე.ი. საკრებულოს წევრსაც და მერის წარმომადგენლებსაც, როგორც შუამავალთ ხალხსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის, სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრიათ. რადგან ვიცნობთ ჩვენი მოსახლეობის ბუნებას, რომ ზურგს უკან უფრო ეხერხებათ პიროვნების განსჯა-გაკრიტიკება, ამიტომ ვამჯობინეთ პირველად მაინც ადგილობრივებს გავსაუბრებოდით.

შემოდგომაა და გვეგონა ბევრს შევხვდებოდით. სამწუხაროდ მოლოდინი არ გამართლდა, მაგრამ იმ თითო-ოროლა ადამიანის პასუხმაც გაგვახარა. თავიანთ მაჟორიტარ დეპუტატს **მურმან ქველიძეს** იცნობენ და დადებითადაც ახასიათებენ. ამომრჩეველთა უმრავლესობის აზრი და შეფასება მერის წარმომადგენელმა ცახის ადმინისტრაციულ ერთეულში **ფრიდონ სოხაძემ** ასე ჩამოაყალიბა: ყოფილი სამხედრო მუშაკია და იცის დისციპლის ფასი. არის აქტიური, მოწესრიგებული, კომუნიკაბელური. პირველმა ამიტომაც დავუჭირე მხარი მის კანდიდატურას. რის საშულებასაც იძლევა მანდატი აკეთებს. არჩევანით ნამდვილად არ წაგვიგია.

დეპუტატი საანგარიშო პერიოდში ოფიციალურად 12-ჯერ შეხვდა ამომრჩეველს. მაგრამ რამდენადაც ანგარიშს უწევს მათ ასაკს, უფრო ინდივიდუალურ შეხვედრებს ანიჭებს უპირატესობას. ყურადღებით ისმენს მოთხოვნებს, აზუსტებს, განიხილავს მერის წარმომადგენლებთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს საკრებულოსა და მერიას.

ამომრჩეველთა მოთხოვნები ძირითადად მაინც საუბნო გზებისა და წყალსადენების მოწესრიგებას ეხება, აგრეთვე ზამთრის თბობასთან დაკავშირებით საშეშე მერქანით უზრუნველყოფას.

ბატონი მურმანი კმაყოფილია იმით, რომ ასე თუ ისე სოფლებში გზებისა და წყლის სერიოზული პრობლემები არაა, მაგრამ განიცდის იმას,რომ წელს ვერ მოესწრო ცახში იმ 150 მეტრი წყალსადენი მილის შეცვლა, რომელიც ხშირად ზიანდება (ტენდერი რამდენჯერმე ჩაიშალა). ასევე ვერ მოხერხდა ე.წ. ბერუანებიდან საყივარამდე იმ გზის აღდგენა, რომელითაც ადრე სარგებლობდა მოსახლეობა. არადა გაუადვილდებოდათ ზამთრისათვის შეშის გამოტანა-მომარაგების პროცესი. მიზეზი არის უტრაქტორობა. წლების წინ დაშვებული შეცდომების გამო პრობლემატურია პატარაონში წყალსადენი სისტემა. იმის გამო, რომ არაა დატანებული შემკრები და არ იფილტრება, წყალი იმღვრევა და არის მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი. გატარებული ღონისძიებებით მართალია, მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, მაგრამ პრობლემა მაინც რჩება. იმედოვნებს, რომ საკითხები მომავალ წელს უთუოდ მოგვარდება

დეპუტატი თავს არ არიდებს პრობლემატურ საკითხებს, კრიტიკულ შეკითხვებს. ფლობს სიტუაციას და პასუხებიც აქვს. რაც მთავარია, არ ატყუებს ამომრჩეველს. გულახდილია.შეუძლია, აკეთებს. თუ არა, მაშინ მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის სამსახურებს. მითუმეტეს რომ აქტიურადაა ჩართული საკრებულოში ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში, საკრებულოს სხდომებზე შემოტანილი საკითხების განხილვაში...

საანგარიშო პერიოდში მან მხარი დაუჭირა საკრებულოს მიერ მიღებულ 93 განკარგულებას და 29 დადგენილებას.

ზემოთ ვახსენეთ მიგრაცია, მაგალითად ტბეთში სამი მოსახლეა, პატარა ონის სკოლაში მხოლოდ 10 მოსწავლეა... აი, დეპუტატის (და არა მარტო მისი) დიდი ტკივილი. ტერიტორია კია დიდი, მაგრამ ხალხია ცოტა, ხალხიო. ნაღვლიანად გვითხრა და დასძინა: მათ მოფერება და გაფრთხილება სჭირდებათო.

დიახ, აქაურები მართალია ცოტანი არიან, მაგრამ მამაპაპისეული ფუძის ერთგულნი, კუთხის მოჭირნახულენი. მართლა გასაფრთხილებელი და მოსაფერებელი ადამიანები, მომავალს იმედით რომ შეჰყურებენ. ღმერთმა ნუ მოუშალოთ ერთმანეთის იმედი და იმათაც, ვინც უბენზინობისა და უტრანსპორტობის მომიზეზების გარეშე ხშირად შეეხმიანება მათ და უკეთესი მომავლის რწმენას გაუმძაფრებთ.

მარტო სათავისოდ

სადმელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 18 ადმინისტრაციული ერთეულიდან ერთერთია, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე სოფელი შედის: სადმელი, ბოსტანა, ღვიარა, კლდისუბანი და ძირაგეული. მართალია, განსხვავებული ტერიტორიული განფენილობით, მაგრამ თითქმის ერთნაირი პრობლემებით.

ერთნაირი იმიტომ, რომ სამხარეო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ყოველ შეხვედრაზე მოსახლეობა (იგივე ამომრჩეველი) ითხოვს სოფლისთვის მართლაც სასიცოცხლო ორ კომპონენტს: გზას და წყალს.

ვეთანხმებით ადმინისტრაციულ ერთეულში როგორც მერის წარმომადგენლის, ისე საკრებულოს წევრის მოსაზრებას, რომ ამ კუთხით წლევანდელი წელი ხუთივე სოფლისათვის მართლაც გამორჩეული აღმოჩნდა.

სადმელში, სადაც მუდმივად 802 ადამიანი ცხოვრობს, მიმდინარეობს ცენტრალური გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა. ცხადია, ჩიხებით და სანიაღვრე არხებით. პროექტი გარდამავალია. იგეგმება 3 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის გაკეთება რაზეც დაიხარჯება 3264000 ლარი.

კლდისუბანი (73 მაცხოვრებელი) მოასფალტებული საუბნო გზებით, სანიაღვრე არხებით, გარეგანათებითა და მოწესრიგებული წყლის სისტემით ფაქტიურად ქალაქური ტიპის დასახლებად იქცა.

ძირაგეულში, სადაც 303 მოსახლეა, დასრულდა ასფალტიანი სასოფლო გზის პირველი ეტაპის მოწყობა. პროექტი გარდამავალია და 2023 წელს დასრულდება.

ბოსტანაში, სადაც 350 ადამიანი სახლობს წელს მოიხრეშა სოფლის ცენტრალური გზა და ძალზე პრობლემატური ე.წ. ქედი – ყიფიანების საუბნო გზა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღეს სადმელის, ბოსტანა-ღვიარის და ძირაგეულის მოსახლეობამ, „სოფლის მხარდაჭერი“ პროგრამით გამოყოფილი თანხის მთლიანად წყლის სათავე-ნაგებობების და სისტემის რეაბილიტაციაზე მიმართვით, რაზედაც დაიხარჯა 49900 ლარზე მეტი. აქედან ბოსტანა–ღვიარის წყალსადენის მოწესრიგების პროექტი იყო ერთობლივი და სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 21996 ლარი.

ხუთივე სოფელი უზრუნველყოფილია გაზმომარაგებით. ფუნქციონირებს ორი საჯარო სკოლა, სამედიცინო ამბულატორია, 2 საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკები. ახალგაზრდობის სამსახურშია 5 სპორტული მოედანი, გაჩდნენ საოჯახო სასტუმროები, ღვინის ქარხნები და სხვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხალხს შემოსავალიც გაუჩნდა და გაუუმჯობესდათ საცხოვრებელი პირობები. სწორადაა ნათქვამი: კაცის გული ხარბიაო... უფრო და უფრო მეტი კეთილდღეობა უნდათ აქაურებსაც, მაგრამ სწრაფად და მხოლოდ სხვისი ხელით. თავიანთი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, მცირე გამონაკლისის გარდა, დავიწყებული აქვთ. ჩვენთან მათი ორაზროვანი საუბრებიდან ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ უმრავლესობა მხოლოდ სათავისოდ ფიქრობს, რაშიც მერის წარმომადენელთან შეხვედრამაც დაგვარწმუნა.

მამუკა მეტონიძე – თავის ქებად არ ჩამომართვათ. ნამდვილად არ მცალია კაბინეტში დასაჯდომად, ფაქტიურად ვცხოვრობ მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრებით, ინდივიდუალური თუ გასვლითი შეხვედრებით, საკომუნიკაციო სა-



* * *

საინვესტიციო პროექტებიდან ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო რვა წყაროს თვალი, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა – 131460 ლარი.

მათ შორისაა ხოტევში ე.წ. „ნასხვეტას წყარო“.

დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულიდან მაჟორიტარი დეპუტატის დავით მიქიაშვილის ინიცირებით სახელდების ინიციატივის მოტივაციის და დასაბუთების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება:

ქ. ამბროლაურში აბიბო შიშინაშვილის ქუჩის სახელის გადარქმევისა და ბონდო დავითულიანის სახელის მინიჭების თაობაზე.

დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები წარმოადგინონ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

მისამართი: ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა №11.

ინფორმაცია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეოთხე რიგგარეშე სხდომამ ცვლილება შეიტანა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №99 განკარგულებაში და „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №24 დადგენილებაში.

***

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 25-ე მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა და დამაკმაყოფილებლად შეაფასა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში 2022 წლის 01 იანვრიდან 01 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. ცვლილება შეიტანა „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №24 დადგენილებაში მიიღო განკარგულება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ამბულატორიების) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საკრებულოს სდომას ესწრებოდა მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე**.

მერის წარმომადგენელი ფიქრი არაა სწორი

შუალებებით.

შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ ხუთივე სოფელში ყველა პრობლემა მოხსნილია და ყველა კმაყოფილია.

დავიწყოთ სადმელით. აქ წყლის საკითხი ყოველთვის იდგა და მგონია სულ იქნება. ყველამ ვიცით საიდან, როგორი რთული რელიეფით, ფაქტიურად კლდეებზეა ამოყვანილი სოფლამდე წყალი და მაგისტრალი ისედაც ითხოვს ყოველწლიურად სერიოზულ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. ამ სოფელს რიონიც არ ეყოფა თუ არ ისწავლეს აქაურებმა ერთმანეთის პატივისცემა და წყლის ყაირათიანად ხარჯვა, განსაკუთრებით ზაფხულობით.

საქმე იმაშია, რომ წყალს დიდი რაოდენობით მოიხმარენ სასტუმროები, ღვინის ქარხნები. ღმერთმა ამრავლოს დამსვენებელტურისტიც, მაგრამ ეზოებში გამართული აქვთ ტონიანი აუზები. მოსახლეობა რწყავს ბოსტანს, ახალშენებს, ხეხილს... ე.ი. პატივს არ სცემენ ერთმანეთს და მოხმარების კულტურა არის ნოლი.

სასმელ წყალთან დაკავშირებით პრობლემა შეგვექმნა ბოსტანა–ღვიარაში. აქ ერთობლივი პროექტით მოწესრიგდა სათავე-ნაგებობა და შეიცვალა მაგისტრალის გარკვეული მონაკვეთიც. მაგრამ წვიმიან ამინდში იმღვრევა და მოსახლეობა სასმელად ვერ მოიხმარს წყალს. დადგინდა მიზეზი – ბასეინამდე არსებულ შუალედურ შემკრებში ხდება წვიმის წყლის შერევა. მიმდინარეობს დაკვირვება და ვიმედოვნებ რომ უმოკლეს პერიოდში გამოვასწორებთ მდგომარეობას.

პრობლმაა ისიც, რომ რიცეულის ამბულატორიაში ვერ შეხვალ. არა და არც ისე დიდი ხანია რაც აიგო. მაისიდან მიმდინარეობს სარეაბილიტაციო ცენტრის რემონტი და შესაბამისად ვერ ვიღებთ მოქალაქეებს კაბინეტში.

პრობლემაა ისიც რომ წელს 5 სოფლიდან მხოლოდ 3-ში დაიბადა ბავშვი, იქორწინა 4-მა წყვილმა, ხოლო სამუდამო განსასვენებლამდე მივაცილეთ 17 ადამიანი.

დიახ, პრობლემები არის, მაგრამ მოგვარებადია ყველაფერი თუ მოსახლეობა მარტო სათავისოდ არ იცხოვრებს. რამოდენიმეს კი არა ყველას უნდა შესტკიოდეს გული საერთო საქმეზე. ამ მხრივ გამაოცეს კლდისუბნელებმა და გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა ვუთხრა მათ საჯაროდ. როგორც აღვნიშნეთ უკვე ქალაქური ტიპის დასახლებაა, არადა აქაურები ზამთრის სეზონზე ძირითადათ მოიხმარენ შეშას. მოსახლეობამ გვთხოვა, რომ სოფლის თავში მიმდებარე ტერიტორიაზე დავეხმაროთ გზის მიყვანა-მოხრეშვაში (არაა დიდი მანძილი), სადაც დაიყრება შეშა და აქედან დამუშავებულს თვითონვე შეზიდავენ ოჯახებში ისე, რომ არ დაზიანდეს და დანაგვიანდეს მოასფალტებული საუბნო გზები.

აი ესაა სახელმწიფოებრივად აზროვნება. მერია საქმის კურსშია და დახმარებაზე თანხმობაც მიღებული.

სასიამოვნო ინფორმაცია მინდა გავაჟღერო. ღვიარა შეიძლება მალე კლდისუბნის მსგავსი დასახლება გახდეს. პროექტი მზადაა და ალბათ 2023 წელს მისი რეალიზაცია დაიწყება.

დასასრულს მინდა ვაუწყო ვაიგულშემატკივრებს (საბედნიეროდ არც ისე მრავლად არიან), რომ მე – მერიის წარმომადგენელი და მერაბ ჩიტალაძე – დეპუტატი ვმოქმედებთ ერთად, შეთანხმებულად. თუ ჩვენი ძალები არ ყოფნის საკითხს დასაბუთებული არგუმენტებით შესულთ ადგილობრივი თვითმმართველობაში შესაძლებლობის ფარგლებში გვაქვს კიდეც მხარდაჭერა. ასე რომ სჯობია, ყველამ ერთად ვიზრუნოთ საერთო საქმეზე. ერთი ხელის დაკვრით არ კეთდება საქმეები. მოთმენის უნარიც უნდა გვქონდეს.

თავის მხრივ ჩვენც დავძენთ, რომ ცუდია დაუნახაობის სინდრომი. არ შეიძლება მარტო სათავისოდ ფიქრობდეს ადამიანი. შევახსენებთ მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მოსახლეობასაც, რომ საარსებო მინიმუმის გარდა არსებობს ზნეობრივი მინიმუმიც, რომელიც პატიოსან გულზე უნდა გადიოდეს.

აქცია

ქალთა ორგანიზაციის ორგანიზებით, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთში უფასო სკრინინგი ჩატარდა.

ამბროლაურის, ცაგერის, ონისა და ლენტეხის მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდათ პროფესიონალი ექიმებისგან ძუძუს კიბოს პრევენციისა და მკურნალობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეღოთ.

ძვირფასო ქალებო, გახსოვდეთ: ძუძუს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა 50%-ით ზრდის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას!

მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლა იმთავითვე დიდი მონდომებით ჩაერთო საგანმანათლებლო პროექტში „izrune.ge“: გამოიყო მასწავლებელი, თეონა მაცაბერიძე, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა მოსწავლეთა პროექტში ჩართვას, ხშირ შემთხვევაში დამრიგებლებთან ერთად თანხაც თვითონ გადაუხდია, რათა მოსწავლეები არ დარჩენილიყვნენ პროექტში მონაწილეობის გარეშე, ასე მონდომებით რომ ელოდნენ ყოველ კვირას საგანმანათლებლო-შემეცნებით ტესტებს და თავიანთი შესაძლებლობის რეალიზებას. მაგრამ თანხის პრობლემა ბოლო წლების განმავლობაში მოიხსნა, რადგან ამბროლაურის მერიამ იზრუნა სკოლის მოსწავლეთა განათლების მოტივაციასა და აღზრდა-განათლების პროცესში ოჯახების მხარდაჭერაზე და მოსწავლეებს „izrune.ge“-ს ინდივიდუალური ტესტების გავლა უწევთ უფასოდ.

მადლობა ამბროლაურის მერს, ბატონ ზვიად მხეიძეს!

კატუშა (ეკატერინე) ჭიჭინაძე-გოგსაძე
სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორი

SOS გრიპის სეზონი დაიწყო – ავიცრათ

ოქროსფერი შემოდგომის სიმწვანეში ნაადრევად ამოსულმა „ზამთრის მახარობელამ“ აცივებასთან ერთად გრიპის სეზონის მოახლოებაც გვაუწყა. გრიპისა, რომელსაც ხშირად რისკ ჯგუფებში სერიოზული გართულებაც ახლავს. ამიტომ დევნილთა, შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის უმეტესობა პანდემია გამოვლილია, ომიკრონიც თავს არ გვანებებს, ოთხკომპონენტიანი SHNOFI PASTEUR-ის სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის (vaxiprip Tezra) საკმაო დოზის შეძენით, ფაქტიურად ზაფხულიდანვე დაიწყო საპრევენციო ღონისძიებების გატარება. შესაბამისად დაგეგმა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯამრთელობის ეროვნულმა ცენტრმა მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი ჯამრთელობის სამსახურის საქმიანობა.

ცხადია, განსაზღვრულია ქვეყანაში ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკჯგუფებიც. **კერძოდ, სპეციფიური ქრონიკული დარღვევების მქონეთაგან, სხვა პრიორიტეტული და სავალდებულო იმინიზაციას დაქვემდებარებული პროფესიული ჯგუფები**.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჯანდაცვის სამსახურმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) დააზუსტა სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით ასაცრელი კონტიგენტის რაოდენობა და შესაბამისად მზარდყოფნაში არიან პროფილური სამედიცინო დაწესებულებებიც.

სამსახურს აქვს სავალდებულო იმუნიზაციის კარგი გამოცდილება, მსურველთა რაოდენობაც დიდია და ვიმედოვნებთ, 2022–2023 წლის სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი წარიმართება ორგანიზებულად.

შევახსენებთ მოსახლეობას, რომ სპეციფიკური ქრონიკული დარღვევებით მქონეთთაგან უპირველესად დიაბეტის მქონე და დიალეზზე მყოფმა პირებმა, სხვა პრიორიტეტული ჯგუფებიდან ორსულებმა, 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმულმა პირებმა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლები) პედაგოგებმა... კლინიკას ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა მიაკითხოთ უბნის ექიმებს.

აქვე გაცნობებთ იმასაც, რომ გრიპის მიმდინარე სეზონზე, აგრეთვე, მიმდინარეობს COVID -19 ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაც. უსაფრთხოების და ეფექტურობის შესახებ ამ ორი ვაქცინაციის ურთიერთქმედების შესწავლის შედეგად EDE-ის (აშშ) რეკომენდაციის თანახმად შესაძლებელია COVID–19 ის ვაქცინის და გრიპის ვაქცინის ერთდროული ადმინისტრირება(ერთ ვიზიტზე, სხვადასხვა ზედა კიდურზე, მხარის ზედა ნაწილში, დელტისებურ კუნთში). თუ აცრები არ გაკეთდა ერთ ვიზიტზე, მაშინ მათ შორის ინტერვალის დაცვა არ არის საჭირო.

კარგი ჩანაფიქრია. ბარაკონის ეკლესიის მიმდებარედ მდ. რიონზე საფეხმავლო ხიდი კეთდება. პროექტი უკვე მზადაა და ითვალისწინებს ბარაკონის ეკლესიის ეზოდან საფურის კლდეებამდე 60 მეტრის სიგრძის საფეხმავლო ხიდის მოწყობას.

პროექტის ჯამური ღირებულება 320 000 ლარს შეადგენს.

მდ. რიონზე ბარაკონის ეკლესიის მიმდებარედ საფეხმავლო ხიდის არსებობა ხელს შეუწყობს არა მარტო ტურიზმის განვითარებას, არამედ გააადვილებს. წესსა და მუხლს შორის ფეხით მიმოსვლასაც. პარალელურად განხორციელდება ბარაკონის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია.

ქროს - ვიზიტი საწარმოში

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისათვის“ (2021–2025 წ.) ფარგლებში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ჰაბის „აფხაზინტერკონტის“ ორგანიზებით, ბიზნეს კომპანიის „რაჭის ნატურალური პროდუქტები“ საწარმოში გაიმართა ქროს-ვიზიტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების, ბიზნესისა მედიის წარმომადგენლებმა.

ქროს-ვიზიტის მიზანი იყო სოციალურ-კორპორაციული პასუხისმგებლობის კულტურის დანერგვის ხელშეწყობა და შესაბამისად მსჯელობა წარიმართა სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის კულტურის დანერგვისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

ძმები მსოფლიოს ჩემპიონები

ესპანეთის ქალაქ პონტევედრაში გამართულ 23 წლამდელ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობა, რადგან ქვეყნის ინტერესებს ნაკრებში ამბროლაურის საჭიდაო კლუბის „ფალავანი“ ორი სპორტსმენი – ძმები გამყრელიძეებიც იცავდნენ. გაგვახარეს და თანაც როგორ.

გიორგი ელბაქიძე 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ხოლო **ვლადიმერ გამყრელიძე** 79 წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. ოქროს ბიჭებს გულშემატკივრებმა მშობლიურ ქალაქში შესაფერისი დახვედრაც მოუწყვეს.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**. მათ მსოფლიო ჩემპიონ ძმებს მილოცვასთან ერთად ამბროლაურის მუნიციპალიტეტისგან მადლობის სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცეს.

ბედნიერი მშობლები და მწვრთნელი **ლევან ბარსონიძე** დამსახურებულად იღებენ მილოცვებს და მადლობას კარგი კაცების, ღირსეული მოქალაქეების აღზრდისათვის.

„გაიქცე თუ შეებრძოლო?!“

აი, რა საინტერესო, ბევრ რამეზე დამაფიქრებელი თემით მიიწვია დედაქალაქის ხელოვნების ამ დარგის თაყვანისმცემელი საზოგადოება **ბესო კობახიძემ** თავის მორიგ პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც ს. ჯანაშიას №13-ში „ნოვო გალერეაში“ შედგა.

გამოფენას, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინე კობახიძე** და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძეც** სტუმრობდნენ, უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა და გამორჩეული ხელოვანის შემოქმედებით აღფთოვანებას ემოციურად გამოხატავდნენ.

ამბროლაურის კულტურის ცენტრში, ანსამბლ „თარიკონის“ 30 წლის იუბილე აღინიშნა და ვარსკვლავი გაიხსნა.

ქორეოგრაფიული ანსამბლი თარიკონი 1991 წელს, **ომარ ტვილდიანის** ხელმძღვანელობით დაარსდა და წლების მანძილზე არა ერთი წარმატება მოიპოვა. ომარ ტვილდიანის გარდაცვალების შემდეგ შემოქმედებითი საქმიანობა მისმა ვაჟმა **რატი ტვილდიანმა** განაგრძო. ანსამბლმა სამი თაობა გამოიცვალა და დღესაც წარმატებით მოღვაწეობს ქორეოგრაფიულ სივრცეში.

ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალს სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**, ანსამბლის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ფოტო ბრალდება

ანალოგიური სიტუაცია არის თითქმის ყველა ბანკთან, აი ამაზე ითქმება – ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

* * *

აღნიშნული ფოტო ბრატისლავა-რაჩის ახლადრეაბილიტირებულ ქუჩას ნამდვილად არ უხდება, სანამ ნიაღვარი საავადმყოფოს ეზოში არ გადავარდება ეტყობა მანამდე არავინ გაწმინდავს არხს.

ელდარ ენუქიძის გახსენება

მართალია, 88 წლის ასაკში განერიდა წუთისოფელს, უცბად, უავადმყოფოდ, მაგრამ მაინც ძალიან დასწყვიტა გული საახლობლოს, სამეზობლოს და ყველა იმას, ვინც მას იცნობდა, რადგან იყო კეთილშობილი, კომუნიკაბელური. საჭიროების შემთხვევაში მკაცრი და ამაყიც, რაც მისი პროფესიის ადამიანებისათვის მეტწილად დამახასიათებელია. ვაჟკაცური პროფესიის ერთგული დარჩა ბოლომდე. ამბობდა, პატარა ბავშვივით გამოვარდები გარეთ თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე, გავაყოლებ თვალს და მერე მოგონებების მორევში ვეშვებიო.

ვუგებდით, რადგან მართლაც ჰქონდა მოსაგონარი. ცაში, დიდ ავიაციაში გაატარა 25 წელიწადი. სრულიად ახალგაზრდამ განახორციელა დამოუკიდებელი გაფრენა თბილისი–ქუთაისის რეისზე. ხშირად თბილისი–ამბროლაური–სოხუმის მარშრუტიც მისი იყო და არავინ სჯიდა ჩვევისათვის – კვირიკეწმინდისათვის სამჯერ შემოეფრინა და მერე შერეოდა ღრუბლებს. მერე იყო დიდი ავიაცია... მფრინავები გულს ვერ ვგრძნობთ, მაგრამ საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსვლისთანავე გული მაშინვე სხვანაირად იწყებდა ცემასო. ამაყობდა იმით, რომ მაშინ საკავშირო ავიაციაში საკუთარი ნიშა ეკავათ ქართველ პილოტებს. განსხვავებული – შეთანხმებული მისალმება-გასაუბრების ფორმა ჰქონდათ. ხვდებოდნენ მიწაზე, ჩვენი ხმის გაგონებაზე რადისტები მეტს ვერაფერს ამბობდნენ, მხოლოდ ცაში ქართველები არიანო და განსაკუთრებული პატივით გვეპყრობოდნენო. საქართველოს ავიაციაში კი ყველამ იცოდა, რომ რაჭველი ავიატორები ერთმუჭად შეკრულ სამეგობრო ოჯახს წარმოვადგენდითო.

დამსახურებულ პენსიაზე გასული მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ხუმრობდა. მიწაზე დავეშვი. ეს დალოცვილიც რა კარგი ყოფილა, ცასავით ამასაც ვერ წყდებიო, ფუტკარიც კი გაიჩინა... მამაპაპისეულ ფუძეს უმაგრებდა შვილს.

13 ნოემბერს წელიწადი სრულდება მისი გარდაცვალებიდან. დაგვაკლდა, ნამდვილად დაგვაკლდა. მომგონებელი და სანთელი არ აკლია. ელდარ, განისვენე მშვიდად. მამით ამაყობს შენი ფიქრია და ვიმედოვნებთ, იმასაც შეძლებს არ მოშალოს შენი დატოვებული კერა.

საახლობლო

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ყიფაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.